საქართველოს III პერიოდული ანგარიშის მოსამზადებელი კითხვარი

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტის შესრულების თაობაზე[1]

DRAFT

[1] კითხვარი მომზადებულია გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების (E/C.12/2008/2), ჰარმონიზებული სახელმძღვანელო მითითებებისა (HRI/GEN/2/Rev.6) და საქართველოს მეორე პერიოდულ ანგარიშის თაობაზე კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშის (E/C.12/1/Add.83) საფუძველზე. აღნიშნული მასალები ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: http://tbinternet.ohchr.org/SitePages/Home.aspx (02.06.2017).

შესავალი **3**

I. ზოგადი ინფორმაცია **3**

A. პოლიტიკა და კანონმდებლობა 3

B. საზედამხედველო მექანიზმები 3

C. ვალდებულებების დაცვა საერთაშორისო დონეზე 3

D. დამაბრკოლებელი გარემოებები 3

E. სტატისტიკური მონაცემები 3

II. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე **3**

III. კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშის (E/C.12/1/Add.83) შესრულება **4**

A. ძირითადი საკითხები 4

B. შემოთავაზებები და რეკომენდაციები 5

IV. ანტი-დისკრიმინაციული უფლებები და არსებული რესურსები **6**

მუხლი 1 - თვითგამორკვევის უფლება 6

მუხლი 2 - რესურსების განაწილება 7

მუხლი 3 - გენდერული თანასწორობა 7

მუხლები 4 და 5 - საკანონმდებლო შეზღუდვები 7

V. შრომითი უფლებები **7**

მუხლი 6 - შრომის უფლება 7

მუხლი 7 - სათანადო და ხელსაყრელი შრომითი პირობების უფლება 8

მუხლი 8 - პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება 9

VI. სხვა სოციალური უფლებები **10**

მუხლი 9 - სოციალურ უსაფრთხოების უფლება 10

მუხლი 10 - ოჯახის დაცვა 10

მუხლი 11 - ადეკვატური საცხოვრებელი პირობები 12

მუხლი 12 - ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები 14

VII. საგანმანათლებლო და კულტურული უფლებები **15**

მუხლები 13 და 14 - განათლების უფლება 15

მუხლი 15 - კულტურა, მეცნიერება და ინტელექტუალური საკუთრება 16

DRAFT

შესავალი

შესავალი მოიცავს ანგარიშის მომზადების პროცესის დახასიათებას, ანგარიშის შინაარსის აღწერას, თავების, ქვეთავების, პუნქტების, დანართებისა და ყველა სხვა შემადგენელი ნაწილის მიმოხილვას.

I. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული თავი ეხება პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მიერ მიღებულ ზომებს, რომელთა ზოგადი აღწერილობა შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ქვეთავებად:

A. <u>პოლიტიკა და კანონმდებლობა</u>

ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად ინკორპორირებულია პაქტით გათვალისწინებული უფლებები შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო დონეზე; სამართლებრივი და სხვა სახის ბერკეტების არსებობა იმ პირთათვის, რომელთაც მიაჩნიათ რომ პაქტით დადგენილი მათი უფლებები დაირღვა; მითითებები შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ პრეცედენტულ სამართალზე. პაქტით განსაზღვრული თითოეული უფლების იმპლემენტაციისათვის საკანონმდებლო ბაზა, სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები, პროგრამები და სხვ. როგორ და რა ფორმებით მოხდა ამ მიზნით, რესურსების მობილიზება და ეფექტიანად გამოყენება?

B. <u>საზედამხედველო მექანიზმები</u>

ინფორმაცია ყველა იმ მექანიზმის შესახებ, რომელიც ახორციელებს პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა შესრულების პროგრესის ზედამხედველობას. ამავე თავში უფლებების შესრულების პროგრესის აღწერა ხდება საზედამხედველო დაწესებულების მიერ განსაზღვრული ყველა შესაბამისი მაჩვენებელის მიხედვით, რომელიც აქტუალურია სახელმწიფოსთვის.

C. <u>ვალდებულებების დაცვა საერთაშორისო დონეზე</u>

ინფორმაცია იმ მექანიზმების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ პაქტით ნაკისრი ვალდებულებების დაცვას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ფარგლებში მიმდინარე საქმიანობისას, აგრეთვე აღნიშნული ვალდებულებების გათვალისწინებას საერთაშორისო ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკებებისა და მათი სავალდებულოდ აღიარებისას.

D. <u>დამაბრკოლებელი გარემოებები</u>

სტრუქტურული ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხასიათის დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს კონტროლს მიღმა არსებული ფაქტორებიდან და რომელიც ხელს უშლის პაქტით დადგენილი უფლებების სრულ იმპლემენტაციას.

E. <u>სტატისტიკური მონაცემები</u>

პაქტით განსაზღვრული თითოეული უფლების შესრულებასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დახარისხებულია ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმოშობისა და ნებისმიერი სხვა შესაბამისი მაჩვენებლით. (სასურველია სტატისტიკური მონაცემები მოიცავდეს ინფორმაციას 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე).

II. მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ინფორმაცია პაქტით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაცვის შესახებ. წარმოდგენილი ცნობები არ უნდა იმეორებდეს საქართველოს მიერ გაეროს სხვა

DRAFT

სახელშეკრულებო ორგანოებისთვის წარდგენილ ანგარიშებში შეტანილ ინფორმაციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სასურველია, მითითებულ იქნეს საკანონმდებლო, სააღსრულებო და სასამართლო ხელისუფლების განხორციელებასთან/განუხორციელებლობასთან დაკავშირებული გარემოებები პაქტით გათვალისწინებულ თითოეულ უფლებასთან მიმართებით. აგრეთვე, ნებისმიერი სამოქმედო გეგმისა თუ სტრატეგიის შესახებ. აღნიშნული მიმართულებით, სახელმწიფოს თანამშრომლობა სხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

III. კომიტეტის შემაჯამებელი ანგარიშის (E/C.12/1/Add.83) შესრულება

წინამდებარე თავში წარმოსადგენია ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება კომიტეტის შემაჯამებელ ანგარიშში მოცემულ შეთავაზებებსა და რეკომენდაციებს. ძირითადი საკითხების ქვეთავი ეხება კომიტეტის მიერ დასახელებულ იმ სფეროებს, სადაც აუცილებელია მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარება. შემოთავაზებებისა და რეკომენდაციების ქვეთავში კი მოცემულია კომიტეტის კონკრეტული მითითებები წინა ქვეთავში დასმულ საკითხებთან მიმართებით და აქედან გამომდინარე, ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი გათვალისწინების თაობაზე (შესრულება/შეუსრულებლობა).

A. <u>ძირითადი საკითხები</u>

კორუფცია, როგორც ურთულესი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე მდგომარეობა. კერძოდ, მათი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილებით, სოციალური უსაფრთხოების პროგრამებით, ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით (წყალი, ელექტროენერგია, საბაზისო ჯანდაცვის მომსახურება და განათლება).

სახალხო დამცველის ეფექტიანი ფუნქციონირების შეუძლებლობა, რაც სხვა მრავალ მიზეზთა გარდა, ძირითადად დაკავშირებულია არასაკმარის რესურსებთან.

უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, განსაკუთრებით ქალაქის მიდამოებში და ახალგაზრდა მოსახლეობაში. არაფორმალური ეკონომიკური სექტორის თაობაზე ინფორმაციის არქონა.

დაბალი ანაზღაურება, მათ შორის საგრძნობლად დაბალი მინიმალური ანაზღაურება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მინიმალურ მოთხოვნებს.

სოციალური უსაფრთხოების პროგრამებიდან მიღებული დაბალი სარგებელი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცხოვრების მინიმალურ მოთხოვნებს.

ოჯახურ ძალადობასთან, გაუპატიურებასთან და სექსუალურ ზეწოლასთან ბრძოლის შესახებ საკანონმდებლო და პოლიტიკური ღონისძიებების არარსებობა. აგრეთვე დე ფაქტო დაუსჯელობის სინდრომი, რომელიც თან ახლავს ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენას. ოჯახური ძალადობის სისხლის სამართლით დასჯად დანაშაულად განსაზღვრის აუცილებლობა.

ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით შესაბამისი ზომების არარსებობა.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემა, რაც იწვევს ბავშვების სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციას, მათ შორის პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის სფეროებში.

DRAFT

სიღარიბის დონის მუდმივად მზარდი მაჩვენებელი. აღნიშნული მოვლენის კვლევის მექანიზმების არარსებობა.

ჯანდაცვის სისტემის დაბალი დონე, ანტი-სანიტარია, პერსონალის მომსახურების დაბალი ანაზღაურება, მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შეუძლებლობა.

ფსიქიკურად დაავადებულ პირთა რთული მდგომარეობა ისევე როგორც სოციალურ გარემოში ასევე სამკურნალო დაწესებულებებში.

დაწყებით განათლებასთან დაკავშირებით დეტალური მონაცემების არარსებობა. პაქტის მე-14 მუხლით დადგენილია, რომ დაწყებითი განათლების მიცემა ხდება უსასყიდლოდ, თუმცა მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხშირად მშობლებს უწევთ გარკვეულ საფასურად შვილთათვის დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა.

სკოლებიდან გარიცხული არასრულწლოვნების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი.

B. <u>შემოთავაზებები და რეკომენდაციები</u>

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში კანონმდებლობის იმპლემენტაციის გაუმჯობესება, ისევე როგორც სხვადასხვა შესაბამისი გეგმებისა და პროგრამების ზედმიწევნითი და სტაბილური შესრულება.

ადამიანის უფლებათა ცნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების ჩატარება სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში.

კორუფციასთან ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების გამოყენება, რაც მოიცავს გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვასა და კონსულტაციების გამართვას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე. აღნიშნული საკითხი ასევე ეხება საზღვარგარეთიდან მიღებული დაფინანსებებისა და დახმარებების შესაბამისად გამოყენებას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, განსაკუთრებით მათი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

სახალხო დამცველისთვის ადეკვატური რესურსების გამოყოფა და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

შრომის უფლებისა და შრომის სათანადო და სარგებლიანი პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის დროული ანაზღაურების უზრუნველყოფა და მინიმალური ანაზღაურების ადეკვატური ოდენობის დაწესება.

შრომითი პირობების შემოწმებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის გაუმჯობესება და შრომის ინსპექტორებისთვის შესაბამისი რესურსების გამოყოფა.

სოციალური უსაფრთხოების სისტემის რეფორმის განხორციელება, განსაკუთრებით იმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც იზოლირებულ და არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან (პენსიონერები).

ქალთა უფლებების მხარდაჭერის მიზნით ეროვნული გეგმების განხორციელება. ოჯახური ძალადობის, გაუპატიურებისა და სექსუალური ზეწოლის წინააღმდეგ ადეკვატური კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავება. აღნიშნული პრობლემების თაობაზე ცნობიერების

DRAFT

ასამაღლებელი პროგრამების შემუშავება, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, სასამართლოს ხელისუფლებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების შესაბამისი ტრენინგი ადამიანი ვაჭრობის დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის საწარმოებლად. ამსრულებელთა წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღება საგამოძიებო, საბრალდებო და სასამართლო ორგანოების მიერ. ადამიანი ვაჭრობის მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა.

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა დაცვის მიზნით საგანგებო და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება, რაც დაიცავს მათ ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან.

სიღარიბის შემცირების სტრატეგიების შემუშავება მსოფლიო ბანკის სიღარიბის შემცირების სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. ამ მხრივ, აუცილებელია პრიორიტეტული მიდგომა იზოლირებულ და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირთა ჯგუფებთან მიმართებით, როგორებიც არიან, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, პატიმრები და სიღარიბეში მცხოვრები პირები.

ინფორმაცია სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე რეფორმების შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს მიწის მფლობელთათვის გადასახადების დაწესების შესახებ ინფორმაციასაც.

სამედიცინო დაწესებულებებში პირობების გაუმჯობესება, სამედიცინო პერსონალისთვის ადეკვატური ანაზღაურების დაწესება და მომსახურების არაფორმალური საფასურების პრაქტიკის აღმოფხვრა.

განსაკუთრებული ყურადღების დათმობა და შესაბამისი რესურსების გამოყოფა ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მკურნალობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

შიდსთან და აივ ინფექციასთან ეფექტიანი ბრძოლის წარმოება და მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომების მიღება, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების გზით.

დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყოველგვარი დაბრკოლებებისა და საფასურების აღმოფხვრის გზით. სასკოლო რეფორმის დახვეწა, განსაკუთრებით სკოლიდან გარიცხული არასრულწლოვნების რაოდენობის შემცირების მიზნით.

უმაღლესი განათლების სისტემის თაობაზე მოცულობითი ინფორმაციის წარმოდგენა.

IV. ანტი-დისკრიმინაციული უფლებები და არსებული რესურსები

<u>მუხლი 1 - თვითგამორკვევის უფლება</u>

სახელმწიფოში, თვითგარმოკვევის უფლებასთან დაკავშირებით მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს დახასიათება. რა სახით ხორციელდება თვითგრამორკვევის უფლების იმპლემენტაცია? რამდენად ახორციელებს სახელმწიფო ამ მხრივ თავის პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს?

ადგილობრივი მოსახლეობის კონვენციით განსაზღვრულ უფლებებთან და ინტერესებთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რამდენად ხდება მათთან

DRAFT

სათანადო კონსულტაციების გავლა, და რამდენად ხდება მათი წინასწარი ინფორმირებული თანხმობის მოპოვება (სასურველია კონკრეტული მაგალითების მოყვანა).

მუხლი 2 - რესურსების განაწილება

მიღებული საერთაშორისო ეკონომიკური და ტექნიკური მხარდაჭერისა და თანამშრომლობის გავლენა პაქტით გათვალისწინებული თითოეული უფლების სრულ რეალიზებასთან მიმართებით.

დახარისხებული და შედარებითი სტატისტიკური მონაცემები სპეციფიური ანტი-დისკრიმინაციული ზომების ეფექტიანობისა და პაქტით გათვალისწინებული უფლებებით ყველას მიერ თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფის მხრივ მიღწეული პროგრესის თაობაზე, განსაკუთრებით არახელსაყრელ და იზოლირებულ პირებთან და ჯგუფებთან მიმართებით.

აქვს თუ არა სახელმწიფოს დაწესებული შეზღუდვები პაქტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, არსებობს თუ არა რაიმე სახის შეზღუდვა პაქტით დადგენილი ეკონომიკური უფლებებით უცხოელების მიერ სარგებლობასთან დაკავშირებით?

მუხლი 3 - გენდერული თანასწორობა

ინფორმაცია კონვენციით აღიარებულ თითოეულ უფლებასთან მიმართებით სქესობრივი ნიშნით პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად გადადგმული ნაბიჯების თაობაზე. მამაკაცთა და ქალთა მიერ აღნიშნულ უფლებათა თანასწორად გამოყენების უზრუნველყოფა კანონისმიერი და ფაქტობრივი საშუალებებით.

მიიღო თუ არა სახელმწიფომ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით კანონმდებლობა და როგორ მიმდინარეობს ამგვარი კანონმდებლობის იმპლემენტაცია (პროგრესი, რეგრესი)? რამდენად ტარდება კანონმდებლობისა და პოლიტიკის გავლენის შეფასებითი კვლევა გენდერულ ჭრილში, რათა აღმოიფხვრას ტრადიციული კულტურული სტერეოტიპები, რომელიც უარყოფითად მოქმედებს მამაკაცისა და ქალის მიერ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების თანასწორ გამოყენებაზე?

მუხლები 4 და 5 - საკანონმდებლო შეზღუდვები

სახელმწიფოს მიერ პაქტის დებულებების შეზღუდვა, შემოფარგვლა ან მათგან განსხვავებული ნორმების შემოღება. აუცილებელია მოცემულ იქნეს ამგვარი შეზღუდვების, შემოფარგვლებისა და გადახვევების მოქმედების სფეროს შესახებ ინფორმაცია; მათ მიღებასთან დაკავშირებული ყველა გარემოების დეტალური აღწერილობა; და აგრეთვე მათი მოქმედების დრო და გაუქმებისათვის გათვალისწინებული პერიოდი.

V. შრომითი უფლებები

მუხლი 6 - შრომის უფლება

ინფორმაცია უმუშევრობის აღმოფხვრის მიზნით მიღებული ზომებზე:

სრულყოფილ და პროდუქტიულ შრომით გარემოს შექმნაზე მიზნობრივი *შრომითი პროგრამების* გავლენა და შედეგები, განსაკუთრებით იმ პროგრამებისა, რომელიც კონცენტრირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირთა დასაქმებაზე, კერძოდ:

ა) ქალებზე,

ბ) ახალგაზრდებზე,

DRAFT

გ) ხანდაზმულებზე,

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე,

ე) ეთნიკურ უმცირესობებზე,

ვ) ქალაქგარეთ და არაურბანულ პირობებში მაცხოვრებლებზე.

სამუშაოს მაძიებელ პირთა დასაქმების მიზნით გატარებული ღონისძიებების გავლენა და შედეგები, განსაკუთრებით იმ ქალებთან და დიდი ხნით უმუშევარ პირებთან მიმართებით, რომელნიც საჯარო და კერძო დაწესებულებების პრივატიზაციის, შემცირებისა და ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის შედეგად გახდნენ უმუშევრები (სამუშაოს მაძიებელები).

ინფორმაცია *არაფორმალურ ეკონომიკურ სექტორში* შრომითი მდგომარეობის შესახებ; არაფორმალური ეკონომიკური სექტორის მასშტაბები და ის სფეროები სადაც დასაქმების განსაკუთრებით მაღალი პროცენტული მაჩვენებელია; არაფორმალურ ეკონომიკურ სექტორში დასაქმებულთა ფორმალურ ეკონომიკურ სექტორში გადმოყვანის მიზნით გატარებული ღონისძიებები; საბაზისო მომსახურებისა და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთათვის, განსაკუთრებით ხანდაზმულებისა და ქალებისთვის.

ინფორმაცია *სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ,* რომელთა დანიშნულებაა დასაქმებულთა უსამართლო დათხოვნისგან დაცვა.

კონკრეტული მითითებები სახელმწიფოში განხორციელებულ *ტექნიკურ და პროფესიულ პროგრამებთან* დაკავშირებით და მათი გავლენა სამუშაო ძალაზე სამუშაო მარკეტში ჩართვის ან ხელახლა ჩართვისთვის, განსაკუთრებით იზოლირებულ და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ პირებთან მიმართებით,

მუხლი 7 - სათანადო და ხელსაყრელი შრომითი პირობების უფლება

მინიმალური ანაზღაურება

ინფორმაცია იმის შესახებ არის თუ არა სამართლებრივად დაწესებული მინიმალური ანაზღაურება, და თუ არის, რომელი კატეგორიის პერსონალზე ვრცელდება იგი ყოველ კატეგორიაში შემავალ პირთა ზუსტი რაოდენობის მითითებით. თუ მინიმალური ხელფასი არ ვრცელდება რომელიმე კატეგორიის პერსონალზე, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას ახსნა-განმარტება აღნიშნული გარემოების გამო.

არსებობს თუ არა ინდექსაციისა და რეგულარული გაუმჯობესების სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მინიმალური ხელფასი პერიოდულად გადაიხედოს და განისაზღვროს მისი საკმარისი ოდენობა ყველა მუშაკისთვის, მათ შორის მათთვისაც ვისზეც ვრცელდება კოლექტიური შეთანხმება და ასევე მათ ოჯახებზე, რომელთაც მინიმალური ხელფასის მიხედვით უნდა ჰქონდეთ ცხოვრების ადეკვატური პირობები.

მინიმალური ხელფასის სისტემის არარსებობის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია ნებისმიერი სხვა ალტერნატიული მექანიზმის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს მუშაკთათვის და მათი ოჯახებისთვის ადეკვატური ცხოვრების პირობებისათვის საკმარის ხელფასს.

შრომითი პირობები

DRAFT

მუშაკთა შრომითი პირობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ზეგანაკვეთური, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების თაობაზე, ასევე იმ ზომების მიღების შესახებ რომლის მიზანია მუშაკის პროფესიულ, ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინტერესების ურთიერთშეთავსება.

ინფორმაცია იმ გატარებული ღონისძიებების შესახებ რომელთა მიზანია თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების პრინციპის უზრუნველყოფა, კერძოდ კი იმის გამორიცხვა რომ თანაბარი კვალიფიკაციის მქონე ქალები კაცებთან შედარებით არ მუშაობდნენ დაბალანაზღაურებად პოზიციებზე.

ინფორმაცია იმის შესახებ მიიღო თუ არა სახელმწიფომ ეფექტიანად შესრულებადი კანონმდებლობა, რომელიც ახდენს სამუშაო პირობებში სექსუალური ზეწოლის კრიმინალიზებას და როგორია ამგვარი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობის მექანიზმი. ინფორმაცია აღძრული საქმეების თაობაზე, კერძოდ, მათი რაოდენობა, ამსრულებელთა წინააღმდეგ დაწესებული სანქციები და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარებისა და კომპენსაციის მიზნით მიღებული ზომები.

რა სახის სამართლებრივი, ადმინისტრაციული და სხვა ტიპის ზომები იქნა მიღებული უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, და როგორ ხდება მათი პრაქტიკაში განხორციელება.

<u>მუხლი 8 - პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაწევრიანების უფლება</u>

არის თუ არა დადგენილი არსებითი ან ფორმალური ხასიათის წინაპირობები პროფესიული კავშირების შესაქმნელად ან მოქმედ პროფესიულ კავშირში საკუთარი სურვილისამებრ გასაწევრიანებლად? და თუ არის როგორია აღნიშნული წინაპირობების შინაარსი და მათი შესრულების პრაქტიკა?

ინფორმაცია იმის შესახებ თუ რამდენად არის დაწესებული შეზღუდვები დასაქმებულთა მიერ პროფესიულ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით, და როგორ ხორციელდება აღნიშნული შეზღუდვები პრაქტიკაში.

რა სახის გარანტიები არსებობს პროფესიული კავშირების მიერ საკუთარი ღონისძიებების დამოუკიდებლად, სხვათა ჩარევის გარეშე მოწყობის უზრუნველსაყოფად. რამდენად აქვთ პროფესიულ კავშირებს გაერთიანების ან საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან შეერთების დამოუკიდებელი შესაძლებლობები? არსებობს თუ არა ფაქტობრივი სამართლებრივი შეზღუდვები აღნიშნულთან დაკავშირებით, და თუ არსებობს რა სახით?

ინფორმაცია სახელმწიფოში არსებული კოლექტიური შეთანხმების დადების მოლაპარაკებების მექანიზმების შესახებ და რა სახის გავლენას ახდენს კოლექტიური გარიგებები მშრომელთა უფლებებზე.

გაფიცვის უფლების სამართლებრივი საფუძვლები (კონსტიტუციურ ან სხვა სახის აქტის დონეზე) და რა ფარგლებში ხდება აღნიშნული გარანტიების პრაქტიკაში განხორციელება.

არსებობს თუ არა გაფიცვის უფლებასთან მიმართებით გარკვეული შეზღუდვები საჯარო და კერძო სექტორის სფეროებში და თუ არსებობს, რა სახით ხდება მათი პრაქტიკული აღსრულება?

იმ მომსახურების სფეროთა განსაზღვრა სადაც გაფიცვის უფლება შესაძლოა აკრძალული იყოს.

DRAFT

VI. სხვა სოციალური უფლებები

მუხლი 9 - სოციალურ უსაფრთხოების უფლება

არსებობს თუ არა საქართველოში უნივერსალური სოციალური უსაფრთხოება. ამასთან, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ სფეროებზე ვრცელდება სოციალური უსაფრთხოება: ჯანმრთელობის დაცვა, ავადმყოფობა, ხანდაზმულობა, უმუშევრობა, მუშაობის დროს მიღებული დაზიანება, ოჯახისა და ბავშვის მხარდაჭერა, დედათა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები, შეზღუდული შესაძლებლობები, ობლები და გადარჩენილები.

არსებობს თუ არა იურიდიულად დამტკიცებული და პერიოდულად განახლებადი სარგებლის მინიმალური ოდენობა, მათ შორის პენსიების და რამდენად არის ეს უკანასკნელი საკმარისი ადექვატური ცხოვრების მინიმალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად, როგორც ბენეფიციარების ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის.

უზრუნველყოფს თუ არა სოციალური უსაფრთხოების სისტემა, კონტრიბუციის საჭიროების აუცილებლობას შემწეობების თვალსაზრისით, დაუცველი და იზოლირებული ინდივიდებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის, რომელთა დაცვაც არ არის გათვალისწინებული კონტრიბუციის საშუალებებით.

რამდენად ავსებს ზემოაღნიშულ საჯარო სოციალური უსაფრთხოების პროექტებს კერძო ხასიათის პროექტები ან არაფორმალური შეთანხმებები. ამასთან, არსებობის შემთხვევაში, სასურველია ხსენებული პროექტების, შეთანხმებების და მათი საჯარო პროექტებთან ურთიერთმიმართება/ურთიერთდამოკიდებულების აღწერა.

ინფორმაცია იმის შესახებ სარგებლობენ თუ არა ქალები და კაცები თანაბარი საპენსიო უფლებებით. კერძოდ, არის თუ არა ერთიდაიგივე მათი საპენსიო ასაკი, პენსიის ოდენობა და ნამსახურები წლების ოდენობა, რომელიც მხედველობაში მიიღება პენსიის დანიშვნისას.

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების პროგრამებთან, მათ შორის არაფორმალურ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც ითვალისწინებენ დასაქმებულთა დაცვას არაფორმალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით, ჯანმრთელობის დაცვასთან, დედობასთან და ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

რა მოცულობით სარგებლობენ არა-მოქალაქეები (როგორც მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე უცხო სახელმწიფოს მოქალაქეები) იმ სარგებლით, რომელიც არ საჭიროებს კონსტრიბუციას შემოსავლის, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობისა და ოჯახის მხარდაჭერის კუთხით?

მუხლი 10 - ოჯახის დაცვა

რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო, მამაკაცთა და განსაკუთრებით ქალთა სრული და თავისუფალი ნებით, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებას.

ინფორმაცია ოჯახის მხარდაჭერის მიზნით, სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობისა და დაფინანსების თაობაზე. ინფორმაცია სამართლებრივი ნორმებისა თუ დებულებების შესახებ, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი შესაძლებლობები თითოეული ოჯახისთვის, განსაკუთრებით ღარიბი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და მარტოხელა ოჯახებისთვის, შემდეგი თვალსაზრისით:

ა) ბავშვზე ზრუნვა; და

DRAFT

ბ) სოციალური სერვისები, რაც უზრუნველყოფს ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ნორმალურ საცხოვრებელ გარემოში დიდი ხნით ყოფნას და მათი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სათანადო უზრუნველყოფა, როცა ისინი არიან მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები.

ინფორმაცია, სახელმწიფოში დედათა უფლებების დაცვის სისტემის, მათ შორის შრომითი პირობებისა და ორსულობის პერიოდში სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვის თაობაზე. კერძოდ:

ა) გამოიყენება თუ არა იგივე პრინციპი იმ ქალთა მიმართ, რომლებიც ტიპურ სამუშაოს ასრულებენ და იმ ქალთა მიმართ, რომლებზეც არ ვრცელდება სამსახურებრივი თვალსაზრისით დედობასთან დაკავშირებული პრივილეგიები;
ბ) ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა, ბავშვის დაბადებამდე და მისი დაბადების შემდეგ, ასევე ფულადი ანაზღაურების ოდენობა, სამედიცინო და სხვა სახის დახმარება ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადების შემდეგ;
გ) აქვთ თუ არა დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება კაცებს და არსებობს თუ არა ზოგადად მშობლების დეკრეტული შვებულების უფლება, როგორც მამაკაცების ასევე ქალების.

ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიიღება ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის თვალსაზრისით, მათ შორის:

ა) ასაკობრივი ზღვარი, რომლის ქვევით იკრძალება ცალკეულ საქმიანობებში ბავშვის ანაზღაურებადი საქმიანობა სახელმწიფოს კანონის შესაბამისად. ასევე, შესაბამისი ასაკის არმქონე ბავშვების დასაქმების წინააღმდეგ და ბავშვების მიმართ იძულებითი შრომის გამოყენების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენების თაობაზე;
ბ) ჩატარებულა თუ არა სახელმწიფოში რაიმე სახის კვლევა ბავშვთა სამუშაოს ბუნებისა და მოცულობის თაობაზე და არსებობს თუ არა რაიმე სამოქმედო გეგმა, ბავშვთა მუშაობის დასჯის შესახებ; და
გ) იმ ქმედებების გავლენა, რაც მიღებულ იქნა ბავშვთა ჯანმრთელობისთვის სახიფათო სამუშაოს შესრულების და ექსპლუატაციის, თუ სხვა სახის ძალადობის წინააღმდეგ.

ინფორმაცია სახელმწიფოში იმ საკანონმდებლო მექანიზმების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს ხანდაზმულთა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვას. კერძოდ, ხანდაზმულთა მიტოვების, ცუდად მოპყრობის, დაუდევრობის წინააღმდეგ მიმართული კანონებისა და პროგრამების შესრულების თაობაზე.

ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებელთა და მათი ოჯახების ეკონომიკური და სოციალური უფლებებისა და იმ კანონმდებლობისა და მექანიზმების თაობაზე, რაც მიზნად ისახავს მიგრანტების ოჯახების გაერთიანებას.

სასურველია ინფორმაციის წარმოდგენა შემდეგი საკითხების თაობაზე:

DRAFT

ა) არსებობს თუ არა სახელმწიფოში კანონმდებლობა, რომელიც ახდენს ოჯახური ძალადობის კრიმინალიზებას, კერძოდ, ბავშვთა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის, მეუღლის მხრიდან გაუპატიურების, ბავშვთა და ქალთა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ და ა.შ. ასევე, ხსენებული შემთხვევების რეგისტრირებული რაოდენობა, ისევე როგორც იმ სანქციების რაოდენობა, რაც დაწესებულ იქნა დამნაშავეთა წინააღმდეგ;
ბ) არსებობს თუ არა ეროვნული სამოქმედო გეგმა ოჯახური ძალადობის დასჯისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რაც განხორციელებულ იქნა მსხვერპლთა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის მიზნით; და
გ) სამართალდამცველთა და სხვა ჩართულ პროფესიონალთათვის, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ოჯახური ძალადობის კრიმინალური ხასიათის თაობაზე ჩატარებული ტრენინგებისა და ღონისძიებების შესახებ.

მართებულია წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) არსებობს თუ არა სახელწიფოში შესაბამისი კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც დასჯადია ადამიანებით ვაჭრობა და არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი ხსენებული კანონმდებლობის მონიტორინგისა და მკაცრი აღსრულების შესახებ. ასევე, სახელმწიფოში ან მისი გავლით (ტრანზიტი) განხორციელებული ტრეფიკინგის შემცველი საქმეებისა და დამნაშავეების დასჯის რიცხობრივი მონაცემები/რაოდენობა; და
ბ) არსებობს თუ არა რაიმე ეროვნული სამოქმედო გეგმა ტრეფიკინგის დასჯისა და მსხვერპლთა დაცვის შესახებ, მათ შორის სოციალური, სამედიცინო და სამართლებრივი დახმარების თაობაზე.

<u>მუხლი 11 - ადეკვატური საცხოვრებელი პირობები</u>

ა) საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების უფლება

ინფორმაცია იმის შესახებ სახელმწიფოში განსაზღვრულია თუ არა ეროვნული სიღარიბის ზღვარი და რის საფუძველზე ხდება მისი გამოანგარიშება. იმ შემთხვევაში, თუ სიღარიბის ზღვარი არ არსებობს, მაშინ რა მექანიზმებით ხდება სიღარიბის მონიტორინგი?

სასურველია, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შემდეგ საკიხთებთან დაკავშირებით:

ა) მიღებული აქვს თუ არა სახელმწიფოს ეროვნული სამოქმედო გეგმა სიღარიბის დაძლევის წინააღმდეგ, რომელშიც სრულად არის ინტეგრირებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები და ასევე არსებობს თუ არა რაიმე მექანიზმი ან სტრატეგია, ხსენებული გეგმის შესრულების თაობაზე და;
ბ) მიზნობრივი პოლიტიკა და პროგრამები სიღარიბის დაძლევის წინააღმდეგ მათ შორის ბავშვთა და ქალთა მიმართ და იზოლირებულ ჯგუფებს მიკუთვნებული ინდივიდებისა და ოჯახების ეკონომიკური და სოციალური გარიყვის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების, მკვიდრი მოსახლეობისა და სოფლად მცხოვრები მოსახლების დაცვის მიზნით.

DRAFT

ბ) სათანადო საკვების უფლება

რამდენად არის უზრუნველყოფილი საკვების ხარისხი და ოდენობა, რომლითაც შესაძლებელია დღიური დიეტური საჭიროების დაკმაყოფილება, რომელიც არ შეიცავს უარყოფით ნივთიერებებს და რომელიც მისაღებია კულტურული თვალსაზრისით?

ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს კვების პრინციპებისა და ჯანსაღი დიეტის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს, იზოლირებული ინდივიდებისა და ჯგუფების, მათ შორის იმ გლეხების, რომლებიც მიწას არ ფლობენ და უმცირესობათათვის, მიწაზე, საკვებზე, კრედიტზე, ბუნებრივ რესურსებსა და ტექნოლოგიებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

არის თუ არა სახელმწიფოში მიღებული ან იგეგმება თუ არა დროის გარკვეულ მონაკვეთში „სათანადო საკვებზე უფლების რეალიზაციის მხარდაჭერისთვის“ სახელმძღვანელო პრინციპების მიღება, ეროვნული საკვების უსაფრთხოების კონტექსტში? ამგვარი პრინციპების ან მისი სამუშაო ვერსიის არარსებობის შემთხვევაში, სასურველია, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რაც განაპირობებს აღნიშნულ ვაკუუმს.

გ) უფლება წყალზე

მიზანშეწონილია, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

> ა) ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანისთვის და ზოგადად უსაფრთხო წყლის ხელმისაწვდომობას;
> ბ) იმ საცხოვრებლების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც არ აქვს შესაბამისი წყალი ხელმისაწვდომი, ან სადაც წყალი მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის ასევე ხელმისაწვდომი. ამ მხრივ არსებული სიტუაციის აღმოფხვრის მიზნით, მიღებული ღონისძიებები;
> გ) კერძო თუ საჯარო საკუთრებაში მყოფი წყლის სერვისების ყველასათვის ხელმისაწვდომობა;
> დ) სისტემის, რომელიც ახორციელებს წყლის ხარისხის მონიტორინგს.

ინფორმაცია, წყლის ჰიგიენური გამოყენების, წყლის რესურსების დაცვისა და წყლის შემცირების თაობაზე არსებული განათლების შესახებ.

დ) სათანადო საცხოვრისის უფლება

განხორციელდა თუ არა სახელმწიფოში ეროვნული კვლევა უსახლკარობისა და არასათანადო საცხოვრისის თვალსაზრისით. მათ შორის, დადგენილია თუ არა იმ ოჯახებისა და ინდივიდების რაოდენობა, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაბამისი საცხოვრებელი ან რომელთაც არ აქვთ წვდომა ინფრასტრუქტურასა და სერვისებთან, როგორიც არის: წყალი, გათბობა, ნარჩენების გადატანის

DRAFT

ადგილი, სანიტარია და ელექტროენერგია. ასევე, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობენ გადატვირთულ ან სტრუქტურულად სახიფათო საცხოვრისებში.

სასურველია, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრისის ხელმისაწვდომობას ყველასთვის, მათი შემოსავლისა თუ ეკონომიკური რესურსების მიუხედავად;
ბ) სოციალური საცხოვრისის თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებების გავლენა, როგორიც არის იზოლირებული ჯგუფებისთვის დაბალი ღირებულების სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლად. არსებობს თუ არა რაიმე სახის სია მსგავსი საცხოვრისის მოპოვების კუთხით და დაახლოებით რა დროში ხდება მათი დაკმაყოფილება;
გ) იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებაც ხდება საცხოვრისის ხელმისაწვდომობის (ასევე საცხოვრებლის ვარგისიანობის) კუთხით, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც შესაბამისი საჭიროება გააჩნიათ, კერძოდ იმ ოჯახებს, სადაც არიან ბავშვები, ხანდაზმულებს და შშმ პირებს.

ინფორმაცია საკანონმდებლო მექანიზმების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ საცხოვრისი არ განთავსდეს დაბინძურებულ ადგილზე ან მსგავსი ადგილების სიახლოვეს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მაცხოვრებელთა ჯანმრთელობას.

არსებობენ თუ არა იზოლირებული ჯგუფები ან ინდივიდები, როგორიც არიან ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც გახდნენ იძულებითი გამოსახლების მსხვერპლნი. ასევე, როგორ ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ გამოსახლებას რ ქონდეს დისკრიმინაციული ხასიათი?

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოსახლებული პირებისა და ოჯახების რაოდენობა და ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ გამოსახლების გარემოებებს და მოიჯარეთა უსაფრთხო იჯარის უფლებებისა და მათი გამოსახლებისგან დაცვას.

<u>მუხლი 12 - ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტები</u>

აქვს თუ არა სახელმწიფოს შემუშავებული ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკა და არის თუ არა უზრუნველყოფილი ხსენებულით პირველად ჯანდაცვაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობა?

სასურველია ინფორმაცია, იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ:

ა) პრევენციულ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ჯანმრთელობის საშუალებებს, საქონლისა და სერვისების უსაფრთხო, ფიზიკურ ხელმისაწვდომობას ყველასთვის, მათ შორის ხანდაზმულთა და შშმ პირებისთვის;
ბ) ჯანმრთელობაზე ზრუნვის სერვისებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის, მიუხედავად მათი საჯარო თუ კერძო წარმოებისა/ფორმებისა, ხელმისაწვდომობას ყველასთვის, მათ შორის შეზღუდული სოციალური შესაძლებლობების მქონე ჯგუფებისთვის;
გ) რომ წამლები და სამედიცინო საშუალებები არ არის ვადაგასული და არის მეცნიერულად დამტკიცებული;

DRAFT

დ) ჯანდაცვის პერსონალის შესაბამის მომზადებას, როგორც ჯანმრთელობის, ასევე ადამიანის უფლებების კუთხით.

სასურველია ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომელიც მიღებულია:

ა) ბავშვთა და დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის, ისევე როგორც სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებისა და პროგრამების გაუმჯობესებისთვის, მათ შორის განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და ოჯახის დაგეგმარებასთან ხელმისაწვდომობის, მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ ზრუნვის, გადაუდებელი სამეანო მომსახურების (განსაკუთრებით სოფლებში, ასევე იმ ქალებისთვის, რომლებიც განეკუთვნებიან იზოლირებულ ჯგუფებს) გზით;
ბ) დაავადებების აცილების მიზნით, წყლის კონტროლისთვის და შესაბამისი სანიტარიის უზრუნველსაყოფად;
გ) იმუნიზაციის პროგრამისა და სხვა სტრატეგიების შესრულების მიზნით, რომლებიც მიზნად ისახავენ დაავადებებისა და ინფექციების კონტროლს;
დ) ალკოჰოლის, თამბაქოს, უკანონო ნარკოტიკებისა და სხვა საშიში ნივთიერებების, განსაკუთრებით, ბავშვებსა და მოზარდებში ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის. ნარკოტიკების მომხმარებელთა და მათი ოჯახების რეაბილიტაციის, მხარდაჭერისა და შესაბამისი მოპყრობისთვის;
ე) აივ ინფექციის, შიდსის ვირუსისა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციის მიზნით. მსგავსი დაავადებების მქონე ადამიანების მხარდაჭერის, სოციალური სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირების კუთხით;
ვ) რათა უზრუნველყოფილ იქნას ძირითადი წამლების ხელმისაწვდომობა, როგორც ეს განსაზღვრულია მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ, მათ შორის ანტი-რეტროვირუსული და ქრონიკული დაავადებების საწინააღმდეგო წამლების ხელმისაწვდომობა.
ზ) რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი მოპყრობა მზრუნველობისა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური დარღვევების მქონე პაციენტებისთვის, ისევე როგორც მსგავსი პაციენტების თავისუფლების აღკვეთის პერიოდული გადახედვა, სასამართლო კონტროლის კუთხით.

VII. საგანმანათლებლო და კულტურული უფლებები

<u>მუხლები 13 და 14 - განათლების უფლება</u>

რა მოცულობით ხდება სახელმწიფოში განათლების მიწოდება იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კონვენციის მე-13 მუხლის 1 პუნქტის მიზნების შესრულება. ამასთან, მოიცავს თუ არა სკოლის კურიკულუმი სწავლებას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებზე?

რამდენად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოში უფასო პირველადი განათლება (რომელიც სავალდებულოა და ხელმისაწვდომი) ყველასთვის, კერძოდ:

ა) რომელ საფეხურამდე არის განათლება უფასო;
ბ) არსებობს თუ არა სკოლის რაიმე პირდაპირი გადასახადი და თუ არსებობს, რა ხორციელდება მისი შემცირების თვალსაზრისით;

DRAFT

გ) არსებობს თუ არა რაიმე არაპირდაპირი გადასახადი (მგ: გადასახადი სასკოლო წიგნებზე, სკოლის ფორმაზე, ტრანსპორტზე, რაიმე გადასახადი გამოცდებზე და ა.შ) და რა ღონისძიებები ტარდება ღარიბი ოჯახებისთვის მათი შემცირების კუთხით.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე რაც ხორციელდება მეორადი განათლების (ტექნიკური და პროფესიული) ხელმისაწვდომობის კუთხით, მათ შორის:

ა) კონკრეტულად რა ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნული კუთხით;
ბ) არის თუ არა ტექნიკური და პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი და აძლევს თუ არა ხსენებული სტუდენტს მისი პიროვნების განვითარების, თვითრეალიზაციის და დასაქმების შესაძლებლობას.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლის მეშვეობითაც უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომია ყველასთვის, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით და მათი დისკრიმინაციის გარეშე.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რაც ხელს უწყობს განათლების წახალისებას, ისევე როგორც განათლების მიღების შესაძლებლობას.

აქვს თუ არა უმცირესობათა და მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ბავშვებს შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია/ინსტრუქციები მათ მშობლიურ ენაზე და ასევე რა ღონისძიებები ტარდება იმ კუთხით, რომ მსგავსმა ბავშვებმა არ მიიღონ უფრო დაბალი ხარისხის განათლება.

გოგონებისა და ბიჭებისთვის დაწესებულია თუ არა ერთიდაიგივე კრიტერიუმი განათლების ყველა საფეხურზე და ხორციელდება თუ არა მშობლების (გადაწყვეტილების მიმღები პირების) ცნობიერების ამაღლების კუთხით ცალკეული ქმედებები.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რაც ითვალისწინებს ბავშვების გარიცხვის შემცირებას დაწყებითი და მეორადი განათლების ეტაპზე, განსაკუთრებით იმ ბავშვების, რომლებიც განეკუთვნებიან ეთნიკურ უმცირესობებს, მკვიდრ გაერთიანებებს და ღარიბ ოჯახებს, ასევე მიგრანტებს, ლტოლვილებს და იძულებით გადაადგილებულ პირებს.

იმ შემთხვევაში თუ დაწყებითი და სავალდებულო განათლება სახელმწიფოში არ არის უზრუნველყოფილი, სასურველია წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლის განხორციელებაც იგეგმება მოცემული უფლების გონივრულ ვადაში პროგრესული იმპლემენტაციის მიზნით. ასევე, არსებობს თუ არა რაიმე სირთულე მსგავსი სამოქმედო გეგმის მიღებისას და თუ არსებობს რა ზომების მიღება ხდება მათ გადასალახად?

<u>მუხლი 15 - კულტურა, მეცნიერება და ინტელექტუალური საკუთრება</u>

სასურველია, წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის თაობაზე, რათა უზრუნველყოფილ/წახალისებულ იქნას სახალხო მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით გაერთიანებების დონეზე, მათ შორის სოფლად. ამ კუთხით, მიზანშეწონილია ცნობების წარმოდგენა იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც მიზნად ისახავს ფართო მონაწილეობას და

DRAFT

ხელმისაწვდომობას კულტურულ ინსტიტუციებზე და აქტივობებზე, მათ შორის იმ ღონისძიებების შესახებ:

ა) რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის ყველა ფენისა და სეგმენტისთვის, კონცერტების, თეატრის, კინოსა და სხვა კულტურული ღონისძიებებზე ხელმისაწვდომობა;
ბ) რათა უზრუნველყოფილ იქნას კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების, ინტერნეტის გზით;
გ) რათა წახალისებულ იქნას ბავშვების მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში, მათ შორის იმ ბავშვების, რომლებიც არიან ღარიბი ოჯახებიდან ან ლტოლვილი ბავშვები; და
დ) რათა აღმოიფხვრას ხანდაზმულთა და შშმ პირთა კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელისშემშლელი ფიზიკური თუ სოციალური ბარიერები.

ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს კულტურული მრავალფეროვნების დაცვას, რათა მოხდეს ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობებისა და მკვიდრი გაერთიანებების ცნობიერების ამაღლება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და რათა შეიქმნას მათთვის ხელსაყრელი პირობები მათი იდენტურობის, კულტურის, ისტორიის, ენის, ტრადიციებისა და ჩვევების გამოხატვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით.

ინფორმაცია სასკოლო და პროფესიული განათლების შესახებ კუტურისა და ხელოვნების სფეროში.

აგრეთვე, სასურველია ინფორმაციის წარმოდგენა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) რა ღონისძიებები ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერულ პროგრესზე ხელმისაწვდომობა და მისი გამოყენება ყველას მიერ, მათ შორის იზოლირებული ჯგუფების მიერ და
ბ) რა ღონისძიებები ტარდება მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ადამიანური ღირსებისა და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ გამოყენების პრევენციის თვალსაზრისით.

რა ღონისძიებები ტარდება შემოქმედთა მორალური და მატერიალური ინტერესების ეფექტური დაცვის კუთხით, კერძოდ:

ა) საავტორო უფლებების თვალსაზრისით;
ბ) საავტორო უფლებებისა და სახელმწიფოს სხვა უფლებების, რომელიც აღიარებულია პაქტით, ბალანსის დაცვის თვალსაზრისით;

ინფორმაცია სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს მეცნიერული კვლევების, კრეატიული საქმიანობის თავისუფლების დაცვას და აღსრულებას.

ინფორმაცია იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც მიზნად ისახავს მეცნიერებისა და კულტურის უფრო ფართო გავრცელებას, განვითარებასა და დაცვას. ასევე, იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლის მიზანია სამეცნიერო და კულტურულ სფეროში საერთაშორისო კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარება.

DRAFT